INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: **"LAW AND WORLD"**
Septemper 2021 (№19). Volume 7; Issue 4; Page No. 199-205
https://doi.org/10.36475/7.4.9
www.lawandworld.ge
ISSN: 2346-7916 (Print); ISSN: 2587-5043 (Online)
https://creativecommons.org/about/cclicenses/ (Licensed under: CC BY-SA)

SEVERAL TYPES OF PUNISHMENT ACCORDING TO GEORGIAN CUSTOMARY LAW

(On the example of Upper Adjara)

Otar Gogolishvili
Professor at Batumi Shota Rustaveli State University, department of History, Archaeology and Ethnology

ABSTRACT

Georgian Customary law embraces many types of punishments. Among them the suffering and corporal punishments are commonly known, such as cutting, cursing, stoning, public humiliation , property or compositional punishments and etc. These are forms of punishment, which were widespread in almost all part of Georgia. Some of them were characteristic for separate region, for example, cutting was characteristic for Georgian law in Pshavi.

It is undoubtedly proved with historic and ethnographic materials that in Adjara, as an administrative unit of Upper Kartli, punishments of Georgian customary law were used against to criminals. Especially before the period of Ottoman occupation, however, the norms of Georgian customary law used to continue existance even after the occupation in Adjara, but locally and under an influence of Islam. Finally, as a result of implemented law policy by the Russian governance customary law was completely exiled from active life and only occasionally was used in the public relations, mostly when an foreign law was incompatible with Georgian character or it was inaccesible for a lower social classes.

KEYWORDS: Customary Law, Stoning, Lex Talionis, Punishment on Property

ზოგიერთი სახის სასჯელი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით
(ზემო აჭარის მაგალითზე)

ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

საკვანძო სიტყვები: ჩვეულებითი სამართალი, ქონებრივი ანუ კომპოზიციური სასჯელები, სისხლის აღება, ჩაქოლვა

შესავალი

ქართული ჩვეულებითი სამართალი სასჯელთა მრავალ სახეს იცნობს. მათ შორის საყოველთაოდ ცნობილია მტანჯავი ანუ სხეულებრივი სასჯელები, მოკვეთა, შერისხვა, ჩაქოლვა, გამაწბილებელი სასჯელები, ქონებრივი ანუ კომპოზიციური სასჯელები და სხვა. ეს სასჯელთა ის ფორმებია, რომლებიც გავრცელებული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ზოგი მათგანი ცალკეული კუთხისათვის იყო დამახასიათებელი, მაგ.: მოკვეთა ნიშანდობლივი იყო ფშავური ქართული სამართლისათვის.

ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალებით უდავოდაა დამტკიცებული, რომ აჭარაში, როგორც ზემო ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში, დამნაშავეთა მიმართ გამოიყენებოდა ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი სასჯელები. განსაკუთრებით ეს შეეხება ოსმალთა მიერ აჭარის ტერიტორიის დაპყრობამდე პერიოდს, თუმცა აჭარაში ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმები შემდეგაც განაგრძობდა პრაქტიკულ არსებობას, მაგრამ ლოკალურად და ისლამის ზეგავლენის ქვეშ. საბოლოოდ, რუსული მმართველობის მიერ გატარებულმა სამართლებრივმა პოლიტიკამ მთლიანად განდევნა ჩვეულებითი სამართალი აქტიური ცხოვრების სფეროდან და იგი მხოლოდ დროდადრო იჩენდა თავს საზოგადოებრივი ურთიერთობისას, უმეტესად მაშინ, როცა უცხოური სამართალი მოუქნელობისა და ქართული ხასიათისადმი შეუთავსებლობის გამო ვერ პასუხობდა კონკრეტულ ქმედობას, ან როცა იგი მიუწდომელი იყო დაბალი ფენებისათვის.

აჭარაში მიმდინარე საუკუნის დასაწყისამდე ფართოდ იყო გავრცელებული სისხლის აღების ჩვეულება. შესაბამისად, აქ შეუფერხებლად მუშაობდა ქართული ჩვეულებითი სამართლის სასჯელთა პრინციპების ქვაკუთხედად აღიარებული ე.წ. ტალიონის პრინციპი: „თუალი თუალისა წილ, კბილი – კბილისა წილ“. თვით ეს პრინციპი უძველესი შუამდინარეთის ჩვეულებითი სამართლიდან „ხამურაბის კანონებიდან“ გადმოიღეს ჩვენმა წინაპრებმა და შეიტანეს ქართულ კანონიკურ თუ საერო იურიდიულ წყაროებში. ტალიონის პრინციპი, ძირითადად, მკვლელობის ორ სახეს მოიცავდა: მკვლელობას სისხლის აღების ნიადაგზე და მკვლელობას შურისძიების ნიადაგზე. ამის მიხედვით ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ დასკვნა, რომ ორივე მათგანი ინდივიდუალური სასჯელთა სახეებია და აჭარაში დადასტურებულ თვითგასამართლების ფორმებს წარმოადგენს, თვითგასამართლებას კი შორეულ წარსულში გააჩნია ფესვები და თავისი სოციალურ-იურიდიული საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, ხშირად ვერდიქტის გამომტანი და ამსრულებელი ერთიდაიგივე პირი გვევლინება, გარდა ასეთი მსგავსებისა, არის მათ შორის განსხვავებაც: თუ შურისძიების ნიადაგზე მკვლელობის შემთხვევის დადგომისას ერთი და იგივე პირი დაადგენს და აღასრულებს შურისძიების ნიადაგზე მკვლელობას, სისხლის აღების პირობების

დადგომისას ვერდიქტი გამოაქვს ან ისევ დაზარალებულის უახლოეს ნათესავს, გვარის, ოჯახის უფროსს, ან საამისოდ უფლებამოსილ პირთა ჯგუფს.

სასჯელთა სახეები აჭარაში ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ აჭარაში და საერთოდ საქართველოში, ქართული ჩვეულებითი სამართალი, თუმცა პირობითად, მაგრამ მაინც იცნობდა დანაშაულის მიხედვით სასჯელთა დიფერენცირებას. ასე, მაგ.: სისხლის აღება გათვალისწინებული იყო მხოლოდ განზრახ მკვლელობის დროს, ხოლო მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე, ჩაქოლვა, მოკვეთა, ამოკირვა, უმეტესად ზნეობრივი ნორმების უხეშად დარღვევას მოჰყვებოდა ხოლმე. თვით ზნეობრივი ხასიათის დელიქტების შორისაც იყო დიფერენცირებული სასჯელები, რომელთაგან ორ სახეობას შევეხები – ჩაქოლვასა და ამოკირვას.

მკვლევართა მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე შეიძლება ვირწმუნოთ, რომ აჭარაში, განსაკუთრებით მთის მოსახლეობაში, გვიანობამდე შემორჩენილი იყო ჩაქოლვისა და ამოკირვის ჩვეულება. საილუსტრაციოდ დავასახელებ რამდენიმე მასალას. მკვლევარი ნ. მგელაძე ნაშრომში „ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე“ მიუთითებს, რომ „ქალის ქმარი და ქმრის ახლობელი“ „ქალზე მისულ კაცს“ და თავად ქალს სასჯელის უმაღლესი ფორმით სჯიდნენ. დასჯის ეს სახე ზემო აჭარაში „ამოკირვის“ სახელითაა ცნობილი. ინტიმურ კავშირში მყოფ ქალსა და მამაკაცს ოფიციალური მეუღლე და მისი ნოგრო მიწაში ყელამდე მარხავდნენ და ქოლავდნენ.“[1] ავტორი ხაზს უსვამს სასჯელის გამოყენების ტერიტორიულობას, მისი შესაძლო გავრცელების არეს და იმ ფაქტს, რომ აღნიშნული სასჯელები ქალის უზნეო საქციელის წინააღმდეგ გამოიყენებოდა.

ინფორმატორი, 90 წლის აბას ქამადაძე ანალოგიურ და საინტერესო ცნობას გადმოგვცემს ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ: *„გაგონილი მაქ, რომ ოჯახის ქალი რომ სხვა კაცს შეიყვარებდა და გამომჟღავნდებოდა, ქალსაც და კაცსაც გაბაწრევდნენ, გეიყვანდნენ სოფლის მეიდანზე ან ჯვარედინზე, ქმარი და დედამთილ-მამამთილი ქვებს მიაყრიდა, შემდეგ მთელი სოფელი დააყრიდა ჯოლგს – ქვას, ჯოხს, რაც ხელში მოყვებოდათ. ჯოლოგებს (ჩაქოლილებს – ო.გ.) ღამით უჩუმრად წაიღებდნენ მათი პატრონები და ჩუმად მიაბარებდნენ მიწას.“*[2]

მეორე ინფორმატორის, მუხამედ ჯორბენაძის გადმოცემით ძველად ჩაჯოლგვა ყოფილა ქმრის ღალატისათვის დაწესებული. *„თუ ქალი უღალატებდა მის ქმარს და გამხილდებოდა, ან ქმარი წაასწრებდა ბოზობაში, ქალს სახალხოდ ჩაქოლავდნენ, კაცსაც ჩაქოლავდნენ, ან თუ ის გადარჩებოდა, ქალის ნამდვილი ქმარი და მისი მხარე უმტრობდნენ და მაინც მოკლავდნენ... მამაჩემიდან გაგონილი მაქ, რომ ღორჯომში ბერიძის კაცს შეუყვარებია აგარელი მარკოიძის ცოლი და მათ საქმეს ყიშლებში ქმარი შესწრებია, ადრე სცოდნია და დაუცავს. ქალიც და მისი საყვარელი კაციც გაუყვანიან ბულულა სერზე, ჩაუყრიან ორმოში და ჩუქოლავენ. მათ პატრონებს კდრებიც არ წუუყვანიან. ბერიძის კაცს ცოლ-შვილი ჰყოლია. ამ ამბავის მერე ჩაჯოლგილი კაცის შვილებისათვის ჯოლოგოღლი (ჯოლოგის შვილი – ო.გ.) დუურქმევიან, ხოლო იმ ადგილისთვის, ბულულა სერისათვის „საქოლი ქედი.“*[3] იგივე ავტორი ადასტურებს, რომ ხულოს მეზობელ სოფელში დუაძიებში მცხოვრები ოჯახიშვილების წინაპარიც *„ამნაირი საქმის გამოისობით ჩაქოლილა, მას შემდეგ მათ ერთ განრიგოს ქოლიშვილები დარქმევია“.*

ინფორმატორ მ. ჯორბენაძის მიერ მოთხრობილი ამბების სინამდვილის დამამტკიცებლად უადგილო არ იქნებოდა მიმეთითებინა იმ ფაქტიურ გარემოებაზე, რომ, როგორც დადასტურდა, ღორჯომში ამჟამად მცხოვრებ ბერიძეთა ერთი შტო მართლაც ძველი გვარის მიხედვით „ჯოლოგოღლებად“ მოიხსენებიან. ასევე დეკანიშვილებში ოჯა-

1 მგელაძე ნ, 1984, აჭარული გვარი და ნოგრო, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 75.

2 აჭარის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, 1976, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 18.

3 აჭარის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, 1980, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 36.

ხისშვილების გვარს მეორენაირად ქოლიშვილებად იცნობენ.

წარმოდგენილ ინფორმაციათა გაანალიზების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ სასჯელის ასეთი სახე, როგორიცაა ჩაქოლვა, ძირითადად გამოიყენება გათხოვილი ქალის მიერ ქმრისათვის ღალატის შემთხვევაში. ქალი ყოველ მიზეზგარეშე იმსახურებდა ჩაქოლვას, ხოლო რაც შეეხება მის საყვარელს, იგი შეიძლება ქალთან ერთად ჩაექოლათ, ან გამონაკლის შემთხვევაში, შური ეძიათ მასზე. შურისძიების ტვირთი მოღალატე ქალის ქმარს ან მის ახლობლებს აწვათ. ზემოთ მოყვანილ გადმოცემებში ბევრი სხვა მომენტებიცაა საინტერესო და გასააზრებელი. გარდა იმისა, მიღებული იყო ღალატის ფაქტზე შესწრებისთანავე დაუყოვნებელი მოქმედება – დამნაშავის ჩაქოლვა, ასევე უნდა ყოფილიყო იგივე წესით დასჯადი ღალატის ნაყოფის – უკანონო ბავშვის გაჩენისას, ე.ი. როცა „გამჟღავნდებოდა“ ან „გამხილდებოდა“ ქალის მრუშობა...

ჩაქოლვა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე

ჩაქოლვის ადგილად ორივე შემთხვევაში ხალხის თავშეყრის ადგილია მითითებული – სოფლის მოედანი ან გზაჯვარედინი, ასე, რომ ჩასაქოლ პირებს გაბორკილ მდგომარეობაში ჩაყრიდნენ ორმოში და ჩაქოლავდნენ, რაც შინაარსობრივად ემთხვევა ამ საკითხზე მკვლევართა მიერ ადრე მოპოვებულ მასალებში მითითებულ ფაქტებს. საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: ჩაქოლილ პირებს ან საერთოდ ტოვებდნენ ჩაქოლვის ადგილზე (ამისათვის უნდა ყოფილიყო გამიზნული მათი ორმოში ჩაქოლვა), ან კიდევ, ქირისუფალთა მიერ საზოგადოებისაგან მორიდებულად ხდებოდა მათი გვამების გადასვენება და ყოველგვარი რიტუალის გარეშე ასევე ჩუმად მათი დაკრძალვა. ლოგიკურია, რომ ჩაქოლილი ქალის ქირისუფალში მისი დედ-მამა იგულისხმებოდა. მართალია, ისინი პატრონობდენ გვამს (ალბათ ორმოს გარეშე ზეზეურად ჩაქოლვილს), მაგრამ ფაქტობრივად, თვითონაც შეურაცხყოფილი იყვნენ ნათესავის მოქმედებით და როცა მას დაკრძალავდნენ შესაბამისი რიტუალის დაცვისა და დატირების გარეშე, ამით სიმბოლურად მიცვალებულს „გვარიმაძაგად“ მიიჩნევდნენ, როგორც ეს მიღებული იყო გვარის შემარცხვენელთა მიმართ აჭარაში. ქართული ჩვეულებითი სამართლის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, არც ჩაქოლილი ქალისა და არც კაცის ახლობელს სისხლის აღების მოვალეობა არ აწვათ.

ჩაქოლვის ინსტიტუტთან დაკავშირებით დღემდე მოპოვებულ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალებში კონკრეტულად არ არის გაცემული პასუხი კითხვაზე: ვის ეკუთვნოდა პირველი ქვის სროლის უფლება? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, საჭიროა მცირე ექსკურსი: საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაქოლვა გამოიყენებოდა არა მარტო გათხოვილი ქალის მიერ ქმარის ღალატისას, არამედ *„დანაშაული, რომელთა ჩადენასაც ჩაქოლვა მოჰყვებოდა, სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. თემისა და ხატის ღალატი. 2. საძრახისი სქესობრივი კავშირი. 3. განმეორებითი ქურდობა.“*[4] ჩაქოლვის ქვემდებარე დანაშაულთა სიმრავლე უნდა გულისხმობდეს პირველი ქვის სროლის უფლების მქონეთა განსხვავებულ სუბიექტებსაც, ვინაიდან, დღესდღეობით ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აჭარაში ჩაქოლვა საძრახის სქესობრივ კავშირთან არის დაკავშირებული, უნდა გვევარაუდა, რომ პირველი ქვის სროლის უფლებაც პირველი რიგის დაზარალებულს – ქალის კანონიერ ქმარს უნდა ჰქონოდა, რაც გარკვეულად დადასტურებულ იქნა ზემოთ დასახელებულ ინფორმატორის მიერ – *„ქმარი და დედამთილ-მამამთილი ქვებს მიაყრიდა, შემდეგ მთელი სოფელი დაყრიდა მათ ჯოლგს.“*[5] ე.ი. უნდა გავიგოთ ისე, რომ ვერდიქტის გამომტანიცა და პირველი ქვის მსროლელიც უპირველესად კანონიერი ქმარი იყო, თუმცა ვერდიქტის გამომტანად მისი მიჩნევა პირობითად უნდა ჩავთვალოთ, რადგან იგი ადათობრივადაა განსაზღვრული და შედეგის დადგომისთანავე დაზარალებულს ავტომატურად აღმოუცენდებოდა შესაბამისი გადაწყვეტილებაც.

---

4 აჭარის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, 1991, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 97.

5 აჭარის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, 1976, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ.18.

ინფორმატორ ა. ქამადაძის მონათხრობში ნახმარია ტერმინები: „ჯოლგი“ და „ჯოლოგები“, რაც მხოლოდ ზემო აჭარაში და ისიც ზოგიერთი სოფლის დასახელებული პუნქტის დღევანდელ კუთხურ სასაუბრო კილოშია შემორჩენილი. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა ფორმაში: „ჩაჯოლგვა“, „ამოჯოლგვა“, „მიჯოლგვა“ და სხვა. „ჯოლგი“ ქვაღორღის, ხის კუნძების გროვაა, რომელთა საშუალებით გადაკეტავენ წყლის სათავეს, არხის ან გზის რომელიმე მონაკვეთს, შენობის სანათურს და სხვა. პარალელურად იხმარება ტერმინი „ამოქოლვა“, „მიქოლვა“, „ჩაქოლვა“ და ისინი სინონიმური წყვილებია. არსებობს ასევე კუთხური ფრაზა „არხს ჯოლოგი უყო“, „გზას ჯოლოგი უყო“ და სხვა. ანალოგიურად, დასახელებული ინფორმატორი ჩაქოლილებს „ჯოლოგებად“ მოიხსენიებს. გარდა ამისა, არცთუ შორეულ წარსულში აჭარის სოფლებში ძელურ საცხოვრებელ სახლებზე, საბძლებზე და სხვა სახის სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე სახურავის მოვალეობას ასრულებდა ნაძვის (ქვემო რაიონებში წიფლის) ხის ყავარი, რომლის დასამაგრებლად გამოყენებული იყო ბრტყელძირიანი ქვის ლოდები ანუ, როგორც მათ ზემო აჭარაში უწოდებენ, „საქოლავები“, რაც უეჭველია ჩაქოლვასთან არის დაკავშირებული და აქედანაა შემორჩენილი კუთხურ მეტყველებაში.

თუ საქართველოში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედით ვიმსჯელებთ, რეალური ჩაქოლვის პროცედურის უშუალო მომსწრე არ გვყავს და მასზე მსჯელობა მხოლოდ წინა თაობათა გადმოცემით გვიხდება. სამაგიეროდ, ახლო წარსულში მთის მოსახლეობის ყოფაში არ უნდა ყოფილიყო იშვიათი ზოგადად ქართული ჩვეულებრივი სამართლისათვის ცნობილი სიმბოლური ჩაქოლვის არსებობა.

შუამთობაზე ამოსული ახალმოყვანილი რძალი გაყვა მის ადრინდელ მაპირებელს. ამ ამბის გამგონე დედამთილმა ხმამაღლა კივილით და წყევლა-კრულვით გზაჯვარედინზე, სადაც საღამოობით იკრიბებოდა იაილებიდან ხალხი სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად ან უბრალოდ სასაუბროდ, გამოიტანა „გაქცეული“ რძლის ლეჩაქი და კაბა, დააგდო ძირს, თან განაგრძობდა ქალის წყევლას და მოუწოდებდა „მემთევრებს“, მათაც დაეწყევლათ და ჩაექოლათ იგი. მანვე ხელში შეაჩეჩა ძალზე ახალგაზრდა ბიჭს – რძლის ქმარს ქვა და უბრძანა ჩაექოლა. ბიჭმა მორცხვად მოიქნია ქვა კაბისაკენ და ხალხს შეერია, ხოლო იქ მყოფთაგან ყველამ: დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა ქვები დააყარა იმ ადგილს, სადაც კაბა და თავსაბური ეგდო. ქვების გროვა ხელუხლებელი დარჩა მთა-ბარის სეზონის დამთავრებამდე. ბავშვები ვერიდებოდით იმ ადგილს, წარმოგვედგინა, რომ იქ მართლაც ქალი ემარხა. ეს შთამბეჭდავი რიტუალი, მიუხედავად თავისი სიმბოლურობისა, მოიცავს ჩაქოლვის ძირითად ელემენტებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ანალოგიურად სიმბოლური ჩაქოლვისა, აჭარაში დღემდე შემორჩენილია სიმბოლური დასაფლავების ჩვეულებაც. სიმბოლურ დასაფლავებას უმეტეს შემთხვევაში მიმართავენ ოჯახის უფროსი მამაკაცები, რომელთა დაუკითხავად გაიპარნენ ქალიშვილები ან, როცა მათ რომელიმე ვაჟიშვილმა აუტანელი წყენა და შეურაცხყოფა მიაყენა. მოცემულ შემთხვევაში, ამოთხრიდნენ ორმოს, შიგ მოათავსებდნენ პიროვნულად „მოკვეთილ“ ანუ როგორც აჭარაში უწოდებენ – „მორესიტული“ შვილის ტანსაცმელს, სასულიერო პირს აღასრულებინებდნენ მიცვალებულისათვის დადგენილ ლოცვას და დააყრიდნენ მიწას.

სიმბოლური ჩაქოლვის შესახებ ცნობები საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის მოპოვებული. მაგ.: ფშავში. მკვლევარ მ. კეკელიას მიერ ფშავში ჩაწერილი იქნა სიმბოლური ჩაქოლვის ამბავი, კერძოდ: *„ერთ სოფლიონელ კაცს ცოლი გამოქცევია, ბოზი. ქმარი დაედევნა, დაეწია, მიაბა ხეზე, მოაჭრა ყურები და ცხვირი, მიაყარა ქვაღორღი და წავიდა.“* [6] ჩანს, რომ ქმარმა სიმბოლურად სისრულეში მოიყვანა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით აღნიშნული ქმედობისათვის დადგენილი ვერდიქტი.

აჭარაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ჩაქოლვასთან ორგანულად და შინაარსობრივად ახლოს დგას ამოკირვის ინსტიტუტი. „კათალიკოზთა სამართალში“ ჩაქოლვა დაკირვის მნიშვნელობით იხმარება, აღნიშნულის ზეგავლენით, ან

6 კეკელია მ, 1991, ქართული ჩვეულებითი სამართალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 103.

ალბათ, იმის გამო, რომ აჭარაში დადასტურებულ ჩაქოლვის ინსტიტუტს ამოკირვასთან აიგივებს ზოგიერთი მკვლევარი. თუ ჩაქოლვის შესახებ შედარებით ჭარბია ცნობები ზეპირსიტყვიერებაში, სამაგიეროდ, ჩაკირვის შესახებ ეს არ ითქმის, მაგრამ აღნიშნული გარემოება სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ ჩაკირვა უცხოა აქაური ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის, ან, რომ ის ჩაქოლვას ნიშნავდა. ინფორმატორი, 75 წლის ხატიჯე რიჟვაძე-ქამადაძისა გადმოგვცემს, რომ *„თუ ქალი უმძრახ საქციელს ჩაიდენდა, სხვა კაცს დაუჟდებოდა, ქმრის ნათესავთან დეიჭირავდა საქმეს, ფეხშიშველი ან თავმოხდილი ურცხო კაცებს დიენახვებოდა, ადეთი ასე ყოფილა, რომ მას ან ჩაქოლავდნენ ან ორმეში ამოსკილევდნენ ან ზედან მიწას მიაქელევდნენ.“*[7] ინფორმატორი ხაზს უსვამს ალტერნატიულ სასჯელებს – ჩაქოლვას ან ჩაკირვას. ზემო აჭარულ დიალექტში დღესაც შემონახულია ტერმინი „ამოსკილვა“, რაც ამოვსებას ნიშნავს. იგივე ტერმინი იხმარება წყევლის ფორმაში.

დასკვნა

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით სასჯელის ორივე ფორმა ერთი და იგივე შედგენილობის დანაშაულისათვის გამოიყენებოდა, მაგრამ მათი გამოყენება ისეთი ზნეობრივი ნორმების დარღვევისათვის, როგორიც იყო უცხო მამაკაცთა საზოგადოებაში თავ-ფეხშიშველი გამოჩენა, ვფიქრობ, შარიათის გავლენითაა ნაკარნახევი და ახლოსაა აღმოსავლური ჩვეულებითი სამართლისათვის კარგად ცნობილ ცოცხლად დამარხვის ინსტიტუტთან.

ტერმინი „ამოკირვა“ დაკავშირებულია კირის არსებობასთან და ცხადია, თუკი ასეთი სასჯელი გამოიყენებოდა ზემო აჭარაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მიზნისათვის კირი სხვა ადგილიდან არ იქნებოდა მოსატანი და მითუმეტეს, დანაშაულის იმავდროულად უნდა მომხდარიყო სასჯელის აღსრულებაც და კირი იქვე უნდა ჰქონოდა ამსრულებელს. ინფორმატორის მიერ მოწოდებულ ცნობაში „მიწის მიქელვაში“ უნდა იგულისხმებოდეს ზოგჯერ კირის მაგივრად მიწის გამოყენება, ზემო აჭარაში არც კირის საბადოთა დეფიციტი უნდა ყოფილიყო. მართლაც, აქაურ ტოპონიმიაში მრავალი ტოპონიმი მიანიშნებს კირის საბადოთა არსებობაზე, საკირიხევი – დიდაჭარაში, ელელიძეებში, მახალაკიძეებში, საკირია – საციხუში, საკირეთი – ფაჩხაში, კირეთი – ქედლებში, კირის ღელე – ხაბელაშვილებში და სხვა.[8]

სასჯელთა აღნიშნული ფორმების იგივეობისა თუ განსხვავების საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საჭიროა ამ თემაზე ეთნოგრაფიული მასალების მოძიება როგორც საკუთრივ აჭარაში, ისე მის მოსაზღვრე მესხეთის ტერიტორიაზე, რამეთუ ამ რეგიონებს ისტორიულად ბევრი საერთო რამ აკავშირებდათ.

7 აჭარის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, 1972, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 6.

8 ქამადაძე მ, 1992, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, გვ, 75-103.

NOTES:

1. Mgeladze, N., 1984. „Adjarian Family Name and Nogro”, Batumi.
2. Ethnographic records of Adjara, 1976. Batumi, p. 18.
3. Ethnographic records of Adjara, 1976. Batumi, p. 36.
4. Ethnographic records of Adjara, 1976. Batumi, p. 97.
5. Ethnographic records of Adjara, 1976. Batumi, p. 18.
6. Kekelia, M., “Georgian customary law”, 1991. Tbilisi, p. 103.
7. Ethnographic records of Adjara, 1972. Batumi, p. 6.
8. Kamadadze, M., “Sectoral vocabulary of Adjarian dialect”, 1992. Tbilisi, pp. 75-103.